# სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

# ბრძანება №01-09-10/59

ქ. თბილისი 20 04 2018 წ.

**2017/2018 სასწავლო წლის მეორე სემესტრში ინტენსიური სასწავლო კურსების გავლის შესახებ**

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის და სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 მარტის № 01-05-04/79 დადგენილების საფუძველზე, 2017/2018 სასწავლო წლის მეორე სემესტრში ინტენსიური სასწავლო კურსების ორგანიზებულად ჩატარების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2017/2018 სასწავლო წლის მეორე სემესტრში ინტენსიური სასწავლო კურსების სააუდიტორიო მეცადინეობები (ლექცია, ლაბორატორია, სემინარი და ა.შ.) ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სწავლების ყველა წლის სტუდენტებისათვის ჩატარდეს 2018 წლის 30 აპრილიდან 2018 წლის 27 ივნისის ჩათვლით (იხ. დანართი);

2. ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სასწავლო კომპონენტებში პირველი შუალედური გამოცდა (ტესტირება) ჩატარდეს 2018 წლის 22 და 23 მაისს, მე-2 შუალედური გამოცდა (ტესტირება) – 2018 წლის 15 და 16 ივნისს; მე-3 შუალედური გამოცდა (ტესტირება) – 2018 წლის 28 ივნისს; დასკვნითი გამოცდები ჩატარდეს 2018 წლის 29 და 30 ივნისს, ხოლო დამატებითი გამოცდები - 2018 წლის 06 და 07 ივლისს (იხ. დანართი);

3. სასწავლო კომპონენტის (სასწავლო კურსი, სემინარი) წამყვანი პროფესორი ვალდებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულ სტუდენტთა შეფასების ელექტრონულ უწყისში (შემდგომში – ელექტრონული უწყისი) სტუდენტთა გამოცდის (ტესტირების) შედეგები შეიტანოს არაუგვიანეს გამოცდის (ტესტირების) ჩატარების ბოლო ვადის მომდევნო ორი სამუშაო დღისა (17 საათამდე);

4. დაევალოთ ფაკულტეტების დეკანებს:

4.1. ინტენსიური სასწავლო კურსების დაწყებამდე სწავლების დეპარტამენტში წარადგინონ ინფორმაცია კონსულტაციების დანიშვნის პროცესის დასრულების შესახებ;

4.2. დასკვნითი გამოცდების დაწყებამდე ორი კვირით ადრე სწავლების დეპარტამენტში შესათანხმებლად წარადგინონ დასკვნითი გამოცდების ცხრილი;

4.3. უზრუნველყონ აკადემიურ დეპარტამენტებთან ერთად სტუდენტთა შეფასების უწყისების

შევსების მონიტორინგი;

4.4. ინტენსიური სასწავლო კურსების დამთავრებიდან ორი კვირის ვადაში სწავლების დეპარტამენტში წარადგინონ მოხსენებითი ბარათები ინტენსიური სასწავლო კურსების ჩატარების, საბოლოო შედეგებისა და სტუდენტთა შეფასებების უწყისების რეგისტრაციის დასრულების შესახებ;

5. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სწავლების დეპარტამენტს (ი. ლომიძე);

6. ბრძანება გამოკრულ იქნეს თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

რექტორი ა. ფრანგიშვილი

*დანართი*

# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

## 2017/2018 სასწავლო წლის მეორე სემესტრში ინტენსიური სასწავლო კურსების გავლის გრაფიკი

| სწავლების საფეხური | 30 აპრილი - 2 მაისი | 3-5 მაისი | 7, 8, 10 მაისი | 11, 12, 14 მაისი | 15 -17 მაისი | 18, 19, 21 მაისი | 22-23 მაისი | 24, 25 ,28 მაისი | 29 -31 მაისი | 1,2, 4 ივნისი | 5-7 ივნისი | 8, 9 ,11 ივნისი | 12-14 ივნისი | 15-16 ივნისი | 18-20 ივნისი | 21-23 ივნისი | 25 -27 ივნისი | 28 ივნისი | 29- 30 ივნისი | 6 -7 ივლისი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თემა | I | II | III | IV | V | VI | | VII | VIII | IX | X | XI | XII | | XIII | XIV | XV | | | |
| სასწავლო კომპონენტები | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ბაკალავრიატი<br>მაგისტრატურა | სააუდიტორიო მეცადინეობები | | | | | | I შუალედური გამოცდები (ტესტირებები) | სააუდიტორიო მეცადინეობები | | | | | | II შუალედური გამოცდები (ტესტირებები) | სააუდიტორიო მეცადინეობები | | | III შუალედური გამოცდები (ტესტირებები) | დასკვნითი გამოცდები | დამატებითი გამოცდები |